ოქმი:**ო63. 6324250001**
თარიღი:**06/09/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და

სამანდატო საკითხთა კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი N 15

4 სექტემბერი. 2024 წელი.

მიმდინარე წლის 4 სექტემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, მაია ტალაბაძის თავმჯდომარეობით, ჩატარდა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მაია ტალაბაძე, მერაბ უღრელიძე, ლიზა კრავეიშვილი, პაატა, კოხრეიძე, ვალერიანე ფოცხვერია, დავით ნიკოლეიშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის N01-02/1279 წერილობითი მომართვის განხილვა**.**

/მომხსენებელი: მაია ტალაბაძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (6 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (6 ხმით) დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, მაია ტალაბაძემ კომისიის წევრებს გააცნო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო

კომისიის N01-02/1279 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხებოდა არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტები და საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის თაობაზე.

როგორც მოგეხსენებათ, 2024 წლის 26 ოქტომბერს გაიმართება როგორც საქართველოს პარლამენტის მორიგი, ასევე, სამტრედიისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები, რომელშიც, საქართველოს ისტორიაში პირველად, ამომრჩეველთა თითქმის 90%-ს საშუალება ექნება, საარჩევნო უფლებით სარგებლობისას, არჩევნებში მონაწილეობა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მიიღოს.

შესაბამისად, გეგზავნებათ, ორივე სახის არჩევნებისათვის, საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დადგენის თაობაზე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმდინარე წლის 27 აგვისტოს №84/2024 და №85/2024 განკარგულებები დანართებთან ერთად.

აღნიშნული არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა განახორციელონ შემდეგი საქმიანობები:

• განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგას სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად (გამოყოფილი სტენდი იმ ზომის უნდა იყოს, რომ სააგიტაციო მასალის გამოფენისას ყველა საარჩევნო სუბიექტი თანაბარი პირობებით იყოს უზრუნველყოფილი);

• არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა უნდა გამოაქვეყნონ ინფორმაცია სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე;

•წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ხელი შეუწყონ პოლიტიკურ პარტიებს/ საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში, ასევე, უზრუნველყონ ამ ღონისძიებების უსაფრთხოება;

• წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებიდან 5 დღის ვადაში შეადგინონ იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) და გადასცენ იგი საოლქო საარჩევნო კომისიას;

მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების გასამართად, მათ გამგებლობაში არსებული შენობები უსასყიდლოდ დაუთმონ საარჩევნო კომისიებს. საოლქო საარჩევნო კომისია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხის საფუძველზე, უზრუნველყოფს ამ შენობა-ნაგებობების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა პოლიტიკური პარტიისა და საარჩევნო სუბიექტისათვის, და, მათთან შეთანხმებით, ადგენს საარჩევნო ღონისძიებების გამართვის განრიგს. საჯაროობისათვის, ეს ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს ცესკოს ვებგვერდზე.

ასევე გაცნობებთ, რომ საარჩევნო პლაკატების უკანონო ჩამოხევის, ჩამოხსნის, დაფარვის ან დაზიანების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ადგენს შესაბამის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საქართელოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 58-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოების 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ორგანიზაციები არჩევნების მომზადებისა

და ჩატარებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობას და ინვენტარს საარჩევნო კომისიებს დროებით, უსასყიდლოდ გადასცემენ. ასევე, ეს ორგანოები ვალდებული არიან, დაფარონ გადაცემული შენობა-ნაგებობის კომუნალური ხარჯები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, გაითვალისწინოთ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მოთხოვნები და, მათ შესასრულებლად, ჩაატაროთ შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოები.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ცესკო გამოხატავს მზადყოფნას, კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით, ითანამშრომლოს თქვენთან ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებას შემდეგ ნომერზე: 251-00-51 (223).

ამასთან, გამოვხატავთ მზაობას, მჭიდროდ ვითანამშრომლოთ საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე.

წერილობით მომართვას ახლავს დანართი 35 ფურცლად.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (6ხმით), იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრებმა ზემოაღნიშნული მიიღეს ცნობად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: / ნათია დოლიძე/

მაია ტალაბაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
იურიდიული, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია-
იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი